პროლეტარებო ყველა ქვეყნისაკენ, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 31 მაისი 1978 წ. № 127 (17171) ფასი 2 კაპ.

სსრკ პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პრაღაში გაემგზავრა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. სოლოდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კანდიდატი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური ხარეევიჩი კომისიის წევრი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ო. მალცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ვ. მაცკევიჩი.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური ხარეევიჩი კომისიის წევრი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

ნაბეჭდთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე, დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, თ. დ. კულაკოვმა, ა. ი. პელშემ, გ. ვ. რომანოვმა, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, კ. უ. ჩერნენკომ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ი. ვ. კაპიტონოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. პ. ბუგაევმა, ა. თ. ვატჩენკომ, ლ. მ. ზამიატინმა, გ. ს. პავლოვმა, ნ. მ. პეგოვმა, გ. ე. ციუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა მ. პ. გორგაძემ, ო. ბ. რახმანინმა, ს. კ. ცვიგუნმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ვ. ა. გოლიკოვმა, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეებმა ი. ლ. ბრეჟნევმა, ნ. პ. ფირიუბინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტმა ე. მ. ხამოტეიკინმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ფ. ხლადი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები. (საკდესი).

გულითადი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე

პრაღა. 30 მაისი. სურათებზე: ზემოთ — რუზინის აეროპორტში დახვედრის დროს; ქვემოთ — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხანაგ. გ. ჰუსაკის შეხვედრა.

პრაღა, 30 მაისი. (საკდესის ხეპეც. კორ.). მოძმე ჩეხოსლოვაკიის მზით გაბრწყინებული დედაქალაქი დღეს განსაკუთრებით სადღესასწაულოდ გამოიყურება. მისი ქუჩები, მოედნები და სანაპიროები მორთულია ალისფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია მისასალმებელი სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!", „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია!", „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!", „

ამ დღეს პრაღელები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა შეხვედროდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, გამოეთქვათ ძმური მეგობრობისა და ღრმა პატივისცემის გრძნობები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი. ბევრს მოჰქონდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების პორტრეტები, ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის პორტრეტები, პლაკატები, რომლებზეც წარწერილია სტყვები საპატიო საბჭოთა ტუმრებისადმი, დროშები და ალმები.

რუზინის აეროპორტში ფრიალებს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. აქ დაჯდა სპეციალური თვითმფრინავი, რომლითაც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

თვითმფრინავიდან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, დელეგაციის წევრებს ძმურად, გულთბილად და გულითადად მიესალმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ვ. ბილაკი, კ. ჰოფმანი, ვ. გულა, ა. ინდრა, ა. კაპეკი, ი. კემპანი, ი. კორჩაკი, ი. ლენარტი, პ. ცოლოტა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები მ. ბრუშკოვიჩი. მ. იაკუბი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები.. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. დამხვდურთა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ვ. მაცკევიჩი, რომელიც საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაშია.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ო. მალცევი. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი და სკკპ ცენტრალური ხარეევიჩი კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი.

პიონერებმა ტუმრებს თაიგულები მიართვეს.

მრავალგზის გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. ყველს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

შემდეგ ახინი უახლოესდებიან დამხვდურებს — ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებს, სსრ კავშირის საელჩოს, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებს. ლ. ი. ბრეჟნევი და გ. ჰუსაკი გულთბილად ესალმებიან მათ.

აეროპორტში შეკრებილი ათასობით პრაღელი საბჭოთა სტუმრებს მიესალმა მჭუხარე ტაშით, შეძახილებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!".

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, გუსტავ ჰუსაკი, დელეგაციის წევრები, ჩეხოსლოვაკიელი ხელმძღვანელები მანქანებში სხდებიან. კორტეჟი მიემართება პრაღის კრემლისაკენ, სადაც ვიზიტის დროს საბჭოთა დელეგაციის რეზიდენცია იქნება.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის ახალთაბით მშრომელი მთელ გზაზე მხურვალედ და გულთადად მიესალმებოდა საბჭოთა სტუმრებსა და ჩეხოსლოვაკიელ ხელმძღვანელებს.

კორტეჟი ჩერდება გრადჩანის მოედანზე. აქ შეკრებილი პრაღელები მოსულებს მჭუხარე ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით ხვდებიან. კრემლის შესასვლელთან ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ჩამოუარეს მეომართა მწყობრს. ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შეხვედრა გადაიქცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურღვევი მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად, ახალი ძალით გამოავლინა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების გულითადი ძმური გრძნობები.

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა გ. ჰუსაკს

30 მაისს პრაღის კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტ გ. ჰუსაკს.

ორი მოძმე პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა დათქვეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა მოლაპარაკების წესი. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ გამოხატანი დოკუმენტის შემუშავებისა და შეთანხმების საკითხებზე.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის შეხვედრამ სრული ურთიერთგაგების, გულთადმოსა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხუთწლედი — ვადამდე



თავდადებული შრომით ავანაზღაურეთ უამინდობით დაკარგული დრო!

საკვები ბაზა — დიდი საზრუნავი

ყველა რეზერვის ბოლამდე — გამოყენებულ!

ბ. მერკვილაძე,
საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

ზესტაფონის რაიონის მშრომელებს, როდესაც სამოქმედო პროგრამად მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, ორმაგ ამოცანად შეგნებული საგაზაფხულო სამუშაოებს მიმდინარეობაში ოპერაციულად გამოწვეული ჩამორჩენის უსწრაფესი აღმოფხვრის დიდი მიზანი დაესახა.

იხილა პარტიის რაიონული კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს და სამეურნეო ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი მინდვრებში, პლანტაციებსა და ფერმებში სამუშაოთა დაჩქარება. ამ ფითარებაშიც ეს სულ ოთხ მიტ ყურადღებას ეთმობოთ პირუტყვის საკვების დამზადების ტემპის გაორკეცებას და გასამკეცებას. ამას მოითხოვს რაიონის საკვებმომპოვებელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური იაღლიებლობები, რომელთა მიხედვით წლეულს უნდა დავამზადოთ 10 ათასი ტონა უხეში ხაკვები (გეგმა 9.600 ტონა), რაც 1500 ტონით აღემატება წარშანდელ მაჩვენებელს.

ვალდებულება ითვალისწინებს აგრეთვე 2.000 ტონა/ოთვის, 4.200 ტონა სენაჟის, 3.800 ტონა სხვადასხვა სახის უხეშში და 5.500 ტონა წვნიანი საკვების დამზადებას. გარდა ამისა, პირუტყვისათვის გამოიყოფა ხაკუთარი წარმოებიდან 1000 ტონა საფურაჟე მარცვალი, საკვებად გადამუშავდება 200 ტონა უურძნის ჭაჟი, აქტიური ვენტილაციით გამოვაწრობთ ამავე რაოდენობის თივას. ხოლო 2.000 ტონა ხიმინდს დავახ�eლებთ ჯარბამიდის გამოყენებით. ყოველივე ეს გამოზამთრებისათვის ერთ პირობით მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე შეადგენს საკუთარი წარმოების 13 ცენტნერს საკვებ ერთეულს ნაცვლად ჯიგძით ათვალისწინებული 11 ცენტნერისა.

ამ ვალდებულებების გასანაღდებლად ყველა პირობაა შექმნილი. ჰექტარში მაქსიმალური მოსავლის მისაღებად შვრიის, ბალახების ნათესებში, ბუნებრივ საძოვრებში შევეტანეთ სასუქები; სადაც საჭირო იყო, ხარეველეების წინააღმდეგ გამოვიყენეთ ჰერბიციდები.

საკვების დანაკარგების მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია საკვების წინასწარ შესაამზადებელი საამქროების მოწყობა რაიონის 4 კოლმეურნეობაში. სრული წესრიგშია ასასენაკი ორმოები და მწვანე მასის ასაღები ტიკნიკა.

საკვების დამზადების ფრონტზე შემართებული შრომის მაგალითი აკიჩიჩის რაიონის საწარმო-დაწესებულებების მშრომელებმა და მოსწავლეებმა 20 მაისს, პირველი რესპუბლიკური შაბათობის დღეს. მათ გზისპირებზე, ალისპირებზე, უზოებსა და ვენახებში შიაგროვეს 720 ტონა მწვანე მასა და ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე 900 ტონა. თივა დაამზადონ.

რაიონის სოფლის მშრომელები, მოშენები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, რომლებიც ფიზიკურ ფრონტზე შეიქმნენ, ამოიღებენ ღირებულ საკვებ ბალახებს, ეხმარებიან ფერმებს ბალახის ნაგავაზე ჩაყრაში, ბალახების ნაგავაზე ჩაყრაში, ბალახების ნაგავაზე ჩაყრაში, ბალახების ნაგავაზე ჩაყრაში.

ვიშრომოთ მუყაითად, ხელოვანურად!

ეს დღეები სოფლად

დიპლომი — მეტალურგებს

რუსთავი. (საკ. კორ.). ნაწარმის ხაოიახის „ამაღლებისათვის დიდ მუშაობას ეწევა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. შექმნილია ხარისხის მმართველის კომპლექსური სისტემა. საწარმოს ექვსი სახეობის პროდუქციას მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ქარხნის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქციის 20 პროცენტი საპატიო ხუთკუთხედით გამოდის.

ამ წარმატებებისათვის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის დიპლომი დაიმსახურა.

სარისხიანი შნიანი პროდუქცია

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). ბომხმარებელთა შორის საყოველთაო მოწონებით სარგებლობს დედაქალაქის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის (დირექტორი ე. თავაძე) მიერ გამოშვებული პროდუქცია. ამ საწარმოს მარკით დაბადებულ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმზე, რომელიც ფალისა და მოცულობითი ნართისაგან მზადდება, ყოველთვის დიდი მოთხოვნილებაა. ამაში თვალნათლივ დავრწმუნდებით, თუ გასული საუბილეო და მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებლებს შევადარებთ. წელს წარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით რეალიზებულია მილიონ 155 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი.

მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა 28 ნიმუშის ხარისხისნიშნიანი პროდუქცია აითვისა და მიაწოდა მომხმარებელს.

თ. კინწურაშვილი.

გეგმის გადაჭარგებით

თბილისის ცხინკომბინატი, რომელიც ჩაბმულია სკკპ და საქართველოს XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მეათე ხუთწლედის მესამე, დამკვრელეული წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიენიჭა პირველი ადგილი და გადაეცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირების გარდამავალი წითელი დროშა.

კომუნისტური შრომის საწარმოს კოლექტივმა 24 მაისისათვის გეგმით გათვალისწინებული 28.200 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 28219 ათასი მანეთისა და რეალიზაცია უყო 28.210 ათასი მანეთის ნაწარმს და ამით ვადაზე ადრე შესრულა 5 თვის სახელმწიფო დავალებები.

მ. ნანეიშვილი.

ახმეტელთა მინდვრებში

გაორკეცებული, გასამკეცებული შორმთა ავანაზღაურთ უამინდობით დაკარგული დრო— ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა ახმეტის რაიონის საბჭოთა მეურნეობების მხვნელ-თესველები. თითოეულ მუშაკს შრომის რაციონალური მოწყობისა და შრომითი რიტმების მანევრირების შედეგად რაიონში უკვე დამთავრდა 3.871 ჰექტარზე ყველა სახეობის საგაზაფხულო კულტურების თესვა, რაც დავალების 100 პროცენტს შეადგენს.

დაიწყო სმინდის ნათესის თინნა-კულტივაცია. გუშინ ზემო და ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში თითოეულმა მექანიზატორმა ნათესში მწკრივთაშორისები გაითხნა ათ-ათ ჰექტარზე და ამით დღიურ ნორმას 2 ჰექტარით გადააჭარბა.

შეჯიბრებაში დაწინაურებულთა შორის ოთის ის აგროუბანი, რომლის მმართველია ი. გაფარაშვილი. აქ დამთავრდა ხეხილის ბაღების მწკრივთაშორისების მეორე თინნა. ახლა სეზონების მიხედვით მესამეჯერ თინნავ.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

ვამრავლეგული ფარეგი

ცხინვალი. („კომუნისტის" საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მეცხვარეებს კარგა დროლი ჰქონდათ ამ გაზაფხულზე. გეგმით გათვალისწინებული 33.775-ის ნაცვლად მიღებულია 40.840 ბატკანი. განსაკუთრებით ისახელეს თავი ეკანა ძხარის, ბალაანის, დადიანეთის კოლმეურნეობათა და როკის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებმა. მათ ყოველ 100 ნირბზე 90-98 ბატკანი მიიღეს.

ახლა ოლქის მეცხვარეობის ფარებში გეგმით გათვალისწინებული 94.000 ცხვარ-თხის ნაცვლად 122.467 სული პირუტყვია. ეს ციფრი უკვე ჭარბობს მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის დასახულ მაჩვენებელს.

გ. თედეევი.

ფვრია მწვანე საკვებად

ცხაკაია. (საკ. კორ.). ფვრიის ნათესებს თიბავენ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყოველდღიურად ითიბება 120-150 ტონა მწვანე საკვები. ამ საქმეში დაწინაურდნენ ფოცხოს სტალინის, ლეძაძამის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები, მეცხოველეობის რაიონული გაერთიანების, გეჯეთის, ძველი სენაკის და ნოსირის საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები.

შვრიის თიბვა 20 ივნისამდე გაგრძელდება.

მეცხოველეობის ფერმები მიიღებენ 5.000 ტონაზე მეტ მწვანე საკვებს.

სძლევენ სეტყვის ფედეგებს

ყვარელი. („კომუნისტის" კორ.). რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებს ჯერ კიდევ ძთლიანად ვერ აღმოეფხვრათ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობაში, რომ ბუნებამ თან ახალი რისხვა დაატეხა თავს.

— 28 მაისს ძლიერმა სეტყვამ სერიოზული ზიანი მიაყენა რაიონის ვენახებსა და თავთავიანი კულტურების ნათესებს, — თქვა ჩვენთან საუბარში ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. სესიაშვილმა, — დაისეტყვა 1500 ჰექტარი ყანა და 500 ჰექტარი ვენახი. 130 ჰექტარი ვენახი დაზიანებულია 80 პროცენტით, დანარჩენი 350 ჰექტარი — 40-60 პროცენტით.

რაიონში სეტყვის მეორე დღესვე დაიწყო მიყენებული ზარალის შემცირების ღონისძიებების განხორციელება. მინდვრებსა და ვენახებში ავიდნენ საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები, რომლებიც მეურნეობებს ეხმარებიან ვენახის წმენდაში, ახვევასა და შპალერის რემონტში.

მევენახეებს დაზიანებული ზარების მოვლა-პატრონობაში კონსულტაციას უწევენ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის ფილიალის მეცნიერი მუშაკები.

სიღნაღი

28 მაისს ხაღამოს სიღნაღის რაიონის ბაღ-ვენახებსა და მინდვრებში სეტყვა მოვიდა. სეტყვამ, წინასწარი გაანგარიშებით, დაზიანა 2.323 ჰექტარი ვენახი, 2.500 ჰექტარი პურის ნათესი, 700 ჰექტარი მზესუმზირა და 50 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

სეტყვამ ყველაზე მეტად დაზიანა ბოდბისხევის კოლმეურნეობის ვენახი. აქ 160 ჰექტარი ვენახი 100 პროცენტით დაზიანდა, ხოლო 209 ჰექტარი 60-70 პროცენტით. ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" სულ დაზიანდა 233 ჰექტარი ვენახი და აქედან 145 ჰექტარი — 100 პროცენტით. სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა სოფელ ბოდბის ორივე კოლმეურნეობას, მაღაროს, ულიანოვკის, ნუკრიანის კოლმეურნეობებს.

პარტიის რაიონული კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის, სოფლის მეურნეობის სამმართველოს და მთელი რაიონის მშრომელები ფეხზე დადგნენ. რაიონში შეიქმნა სპეციალური საგანგებო კომისია. დასახულია გეგმა დასეტყვილი ვენახის, პურეულის ნათესის, ხეხილისა და მზესუმზირის აღსადგენი ხამუშაოების შესასრულებლად.

ვ. გოგბინაშვილი.

განახლებული გულგარეთი

მოძმე ბულგარეთი აღნიშნავს ოსმალთა ხუთასაუკუნოვანი უღლისაგან განთავისუფლების მე-100 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნაი თარიღის დღესასწაულობა იყო ორი ხალხის ურღვევი მეგობრობის ახალი მკაფიო დადასტურება, რომელიც ხელახლა ჩაკიდებული აშენებს ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ეს მეგობრობა, რომელსაც ფესვები შორიელ წარსულში აქვს გადგმული, თვისებრივად განახლდა და გაორმაგდა ჩვენ დღეებში. საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ურთიერთობას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უწოდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განხორციელების მაგალითი.

მოძმე ხალხის ცხოვრების ღირსეულანიშნავ მოვლენას მიეძღვნა ერთგული გამოფენა „განთავისუფლებული, განახლებული ბულგარეთის ხალხი", რომელიც 30 მაისს გაიხსნა მოსკოვში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. დღეს აქ მოვიდნენ ათასობით მოსკოველი, სტუმრები. საბჭოთა დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, რათა გაეცნონ მოძმე ქვეყნის მიღწევებს.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ნ. კოსიგინს, ვ. ვ. გროშინს, ა. ვ. კირილენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, გ. ი. დოლგიხს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ს. ტოდოროვს.

გამოფენის გახსნაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ს. ტოდოროვი.

გამოფენის რვა ათასზე მეტი ექსპონატი დამაჯერებლად მოწმობს მოძმე ქვეყნის წარმატებებს. მისი ხალხის ალმშენებლობითს შრომას, საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ბულგარეთის ნაყოფიერ თანამშრომლობას.

(საკდესი).

ბულგარეთის ეროვნული გამოფენა მოსკოვში

„პრავდის" ფურცლებზე

კომუნისტი საბჭოში

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდია სახალხო დეპუტატთა საბჭოების — მასების უნარიანი ორგანიზატორებისა და ალმზრდელების როლი, ნათქვამია მოწინავეში („კომუნისტი საბჭოში"). ეყრდნობიან რა მშრომელთა უფიდეს გამოცდილებას, ფართო მხარდაჭერას, ისინი აქტიურად უწყობენ ხელს ხუთწლედის გეგმების წარმატებულ რეალიზაციას, სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

როცა პარტიული ორგანიზაციები საბჭოებში კომუნისტთა მაღალი აქტიურობისათვის ბრუნავენ, მხედველობიან არ უნდა გამორჩეთ ძალის ნაკლოვანებაზე პარტიული გავლენის სხვა ფორმებიც. ერთიდ, საქმე ეხება იმაზე, რომ პარტორგანიზაციები სისტემატურად სწავლობდნენ საბჭოთა ორგანოების საქმიანობას, ეხმარებოდნენ აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესებაში, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში, მთავარია, რომ თითოეულ საბჭოთა დაწესებულებაში იყვნენ პროფესიულად წრთობილი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანები, რომლებიც მინდობილ საქმეში თავდადებას უხამებენ უბრალოებასა და მისაწვდომობას, სულიერ ტაქტს.

საბჭოების მუშაობა მით უფრო ნაყოფიერია, ნამუქამია დასასრულო მოწინავეში, რაც უფრო მჭიდროა მათი კავშირი მასებთან, რაც უფრო მტკიცედ ეყრდნობიან აქტივს, მუდმივ კომისიებს. წარმართველენ რა საერთო მეცადინეობას ერთიანი მიზნისაკენ, კომუნისტებმა უნდა მიაღწიონ საბჭოების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას სახალხო კონტროლის ჯგუფებთან და საგუშაგოებთან. გაანეთიარონ აღმასკომების შტატგარეშე განყოფილებების, ქუჩისა და სახლის კომიტეტების ინიციატივა. აღმასკომების პარტორგანიზაციებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ აპარატის მუშაობისადმი კონტროლის წესდებით მინიჭებული უფლება.

კომუნისტი საბჭოში... ვრცელია მისი ყოველდღიური საზრუნავი, მაღალია პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხი. წინაშე. დაე თითოეული დეპუტატი პირნათლად ასრულებდეს თავის საპატიო მოვალეობებს!

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: აღზრდა — კომპლექსური მიდგომა" წარმოდგენილია მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ვ. ვიშკუს წერილით — „გატაცებით, ხაქმის ცოდნით". აქვე, მეორე გვერდზე გაეცნობით მწერალ ვლ. კრუპინის დღიურს — „შეძენის სიხარული". გაზეთის მთელი მესამე, გვერდი დათმობილი აქვს სახალხო კონტროლის ფურცელს (გამოშვება № 11 (193).

ბ. ა. გოლუბის წიგნის („ბოლშევიკები და არმია სამ რევოლუციაში") გამო მკითხველს ესაუბრება პროფესორი ლ. გამინენკო — „რევოლუცია და არმია".

სოციალისტური ქვეყნების ამბებსა და საერთაშორისო ცხოვრების ინფორმაციას გაეცნობით გაზეთის მეოთხე და მეხუთე გვერდებზე.

„პრავდა" კვლავ უხვად აქვეყნებს საკავშირო და სპორტულ ამბებს.

ПРАВДА

ეკონომიკის კონტროლიორ!

136

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რესპუბლიკის ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოებში პროდუქციის ხარისხის და სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო დადგენილება მიიღო.

უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობაა გაწეული საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი გ. გამცემლიძე, მინისტრის მოადგილე ვ. ფუდჩენკო) ტყავ-ფეხსაცმლის საწარმოთა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ამასთან ერთად ბევრ საწარმოში დაშვებულია სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დარღვევები, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში შემოწმების პერიოდში გასინჯული 10040 წყვილი ფეხსაცმლიდან დაბალ ხარისხში გადაყვანილი ან წარმოებაში დაბრუნებულ იქნა 1006 წყვილი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დაბრუნდა და დაბალ ხარისხში იქნა გადაყვანილი თბილისის ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისანში“ (დირექტორი — ვ. ნადირაშვილი, მთავარი ინჟინერი — უ. სათირიშვილი), ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში (დირექტორი — ი. გაიმარჯვაშვილი, მთავარი ინჟინერი — გ. რობაქიძე), ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში (დირექტორი — ვ. დოლიძე, მთავარი ინჟინერი — გ. სახარულიძე), ბათუმის საწარმოო ტყავის გაერთიანებაში (დირექტორი — რ. დობორჯგინიძე, მთავარი ინჟინერი — ე. სარიანი), სოხუმის ტყავის კომბინატში (დირექტორი — ბ. როსტობაია, მთავარი ინჟინერი — ა. ჯანტურია), თბილისის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკაში (დირექტორი — გ. ოდიშვილი, მთავარი ინჟინერი — ვ. ხარაძე) დამზადებული პროდუქცია.

ქ. თბილისის ვაკოოის სამმართველოს მონაცემებით. 1977 წელს რესპუბლიკის ფაბრიკებს დაბალი ხარისხის გამო დაუბრუნდა 1876 ათასი მანეთის, ხოლო 1978 წლის I კვარტალში — 586 ათასი მანეთის ფეხსაცმელი. სავაჭრო ორგანიზაციები სისტემატურად არ მარაგდებიან ფეხსაცმლის სათანადო ასორტიმენტის მიხედვით, არ იცავენ საზღაურობას ფეხსაცმლის გამოშვებისა მიღოო სათანადო ზომები მოთხოვნათა დონეზე სახელმწიფო დისციპლინის ასამაღლებლად. კვლავ არის დატაცების, გაფლანგვების, სამუშაოზე გაუფორმებელი პირების მიღების, მომხმარებელთა მოტყუების და მომსახურების ღირებულების დიდი გადაძტებით გაღებადეკინების, აღურიცხავი პროდუქციის რეალიზაციის, შეკვეთების ფიქტიურად გაფორმების ფაქტები. მაგალითად, ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების ფაბრიკის № 5 ატელიეში (დირექტორი — დ. დემეტრაძე) მომხმარებელმა ვერ შეძლო საჭირო პირობები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დანაკლისებისა და დატაცების აღსაკვეთად. მაგალითად, 1977 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოებში საგრძნობლად გაიზარდა წვრილმანი ქურდობა, ხოლო შემოწმებულ ობიექტებზე დანაკლისებისა და დატაცებების თანხამ 246 ათასი მანეთი შეადგინა. ზემოალნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს

ხარისხი — მთავარი ყურადღება!

და მიწოდებაში.

იისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ არის დამტკიცებული ნიმუშების დარღვევები ფეხსაცმლის გამოშვების ფაქტები, რისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის გეგმის შესრულების საანგარიშგებო მონაცემებიდან ამოღებულ, შესაბამისად, 38,4 და 88,0 ათასი მანეთი. ამ შემოწმების პერიოდში ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში გეგმის შესრულების საანგარიშგებო მონაცემებიდან ამოღებული იყო 17771 მანეთი.

სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და დამტკიცებული ნიმუშების უხეში დარღვევები დადგინდა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (მინისტრი — ა. სობოლევი, მოადგილე — ი. ბორდანიშვილი) ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების საწარმოებში.

სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ ბეჭს ზედმეტი 24 მანეთი და 20 კაპიკი გადაახდევინეს. აქვე გაუფორმებელი იყო შეკვეთები 80 წყვილ ფეხსაცმელზე. ქ. რუსთაველის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების № 4 ატელიეში მომხმარებელს ზედმეტი 18 მანეთი და 13 მანეთი, ხოლო ქ. მცხეთის ატელიეში ერთხელ 19 მანეთი და 10 კაპიკი და მეორეჯერ — 5 მანეთი და 50 კაპიკი გადაახდევინეს. ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა ქ. თბილისის, გორის, რუსთავისა და მცხეთის ყველა შემოწმებულ საწარმოში.

ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის ბევრ საწარმოში დღემდე არ არის დამყარებული მკაცრი სახელმწიფოებრივი წესრიგი აღრიცხვისა და ანგარიშგებაში, ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე კადრების, აგრეთვე მუშა-სპეციალისტებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შერჩევის, სწავლებისა და განაწილების საქმეში. ზოგიერთი გაერთიანების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მრავალდარგოვანია. ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმისათვის უფრო კონკრეტული და მრავალმხრივი უნდა იყოს.

ტყე ჩვენი სიმდიდრეა. „მწვანე მეგობრის“ ქსელის გაფართოებაზე სოფელ გაჭედილის მშრომელები დღენიადაგ ზრუნავენ. ამას მოწმობს ფერდობებზე ტყის გაშენება, ფოთლოვან ხეთა კორომები, რომლებიც საკუთარი ძალებით შეეგმენით. კონტროლიორთა თვალს არც ტყის უნებართვო ჭრის ცალკეული შემთხვევა გამოპარვია. ჯგუფმა ეს საკითხი საგულდაგულოდ შეისწავლა ლენინური უბანში. უნებართვო მჭრელები დავაჯარიმეთ, ტყისმცველი შ. წულაია დასსაჯა.

ჩვენ ჩვენი უპირველესი საზრუნავი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. პლანტაციების დამუშავების ხარისხი მესამე და მეოთხე ჩვენი კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. ამიტომ, კოლმეურნეობის გამგეობისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ნეხრიგს, ებრძვიან წუნის მკეთებლებს, გამცდენებს, შრომის დისციპლინის დამრღვევებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გაერთიანების მეთაური საწარმოს ხაჭოვი ხაამქროს ხახალხო კონტროლიორები.

ჯგუფი მსჯელობს

ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ მუშაობას ეწევიან თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ნეხრიგს, ებრძვიან წუნის მკეთებლებს, გამცდენებს, შრომის დისციპლინის დამრღვევებს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გაერთიანების მეთაური საწარმოს ხაჭოვი ხაამქროს ხახალხო კონტროლიორები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ხაჭოვი ხაამქროს ხახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები ინსტრუქტორი ლუიზა ბერაშვილი. ხახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ანა მამაჯანოვა და ოსტატის თანაშემწე ამირან რამიშვილი ამოწმებენ ხელოვნური ბოჭკოსაგან დამზადებული ქსელის ხარისხს.

ᲒᲝᲠᲘ

ᲒᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡᲐ და წყალსატევების გაბინძურების თავიდან აცილების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგები განიხილა სხდომაზე რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

ტანისხიდის საჯიშე-სანაშენე მესაქონლეობის ფერმის (დირექტორი უ. მარუაშვილი) წყალსაწმენდი ნაგებობა კარგა ხანია სამელიორაციოდ გადაეცა, მაგრამ მომსახურე პერსონალის დაუკომპლექტებლობის გამო უმოქმედოდ არის, მშენებლობის უხარისხოდ შესრულებისათვის სკრის გვირაბის ხიღლაკავის წყალსაწმენდი არ მუშაობს, ერთ-ერთი წყალსაშენები ნაგებობის მშენებლობის დამთავრება 1974 წლისათვის იყო დაგეგმილი (მშენებლობას აწარმოებს № 9 სამშენებლო ტრესტის № 4 სამმართველო (უფროსი — ტ. ფეიქრიშვილი), მაგრამ იგი დღემდე დაუმთავრებელია. ყარალეთის მეღორეობის გასასუქებელი პუნქტიდან (გამგე — ა. ლაფანი) გაჟღენთილ-აწებებული წყალი ღია არხით მდინარე ურატელაში ჩაიხსნა.

დასასრა საჭირო ღონისძიებები.

ᲐᲚᲘᲒᲔᲚᲘ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ და საბჭოთა მეურნეობების ძუძუსებისთვის პენსიების სწორად დანიშვნისა და გაცემის საქმე შეამოწმა სახალხო კონტროლის კომიტეტმა. ამ მხრივ ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოვლინდა მოხის, აღიგენის საბჭოთა მეურნეობებსა და ჩორჩანის კოლმეურნეობაში (დირექტორები ბ. რეხვიაშვილი, გ. კოკაბიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ა. კოკაბიძე). აქ დღემდე არ შექმნილა პენსიის დანიშნული კომისიები, საბუთების შეგროვებას და მომზადებას შემთხვევითი პირები ეწევიან, სოფლუზრუნველყოფის განყოფილებაში საპენსიო საქმეები ისე იგზავნება, რომ კომისიების დასკვნა არ ერთვის, არის პენსიების ზედმეტი თანხის გაკეთების ფაქტები, ხოლო სოციუზრუნველყოფის განყოფილება (გამგე — ი. ბერიკაშვილი) სათანადო კონტროლს არ ახორციელებს.

კომიტეტმა ამ საკითხზე სათანადო დადგენილება მიიღო.

ᲙᲐᲡᲘᲐ

ᲮᲐᲮᲐᲚᲘᲡ კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რაიონში პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხი, გამოირკვა, რომ ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. კასპის რაიკოოპერატივის პურკომბინატსა და საკონდიტრო საამქროებში დაბალია პროდუქციის ხარისხი, არ იცავენ სტანდარტებისა და რეცეპტურის მოთხოვნებს. პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ხარისხისა და წონის ნორმების დარღვევები იმის შედეგია, რომ კასპის რაიკოოპერატივის გაგმეობა (თავმჯდომარე — ო. ტატულაშვილი), საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექცია (დირექტორი — ვ. კოპაძე), პურკომბინატის დირექცია (დირექტორი — გ. ხუციშვილი) და საკონდიტრო საამქროს ხელმძღვანელები (მ. მიწდაძე, ი. ხიზანიერი) საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, ხახალმწიფო წესრიგის დასამყარებლად.

შემოწმების მასალები რეაგირებისათვის პარტიის კასპის რაკომს გადაეცა.

ᲦᲘᲡᲘᲐᲜᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ სამრეწველო საწარმოებში იმპორტული მოწყობილობის გამოყენების მდგომარეობის შემოწმების შედეგები განხილა სახალხო კონტროლის კომიტეტის მსჯელობის საგანი. ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობაა გაწეული, მაგრამ წესრიგი ყველგან როდია დამყარებული. „საქაბელის“ ქარხანაში 9 ერთეული დაუდგმელი მოწყობილობა, რომელთა ღირებულება 451,9 ათასი მანეთია, გამოუყენებელია. სხვათა შორის, აქედან 161,9 ათასი მანეთის მოწყობილობა ქარხანას არ ესაჭიროება. ფეროშენადნობთა ქარხანაში წვრილმარცვლოვანი მანგანუმის მადნის დასაბრიკეტებელი დანადგარის მწარმოებლობას მხოლოდ 50 პროცენტით იყენებენ.

კონტროლის კომიტეტმა ფეროშენადნობთა და „საქაბელის“ ქარხნების ხელმძღვანელებს (დირექტორები — ა. ცქიტიშვილი, დ. კუბიანიძე) დაავალა სრული წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ

როცა თავმჯდომარეს

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ზაური პარტბიუროში მივიდა, უნდა მოლაპარაკებოდა მდივანს, გაეცნო მისთვის თავისი მოსაზრებანი.

სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს ზაურ ჩეხოვეს ქარხანაში საქმიან კაცად იცნობენ, იგი გულისყურით ეკიდება თითოეული მუშის სიტყვას, წინადადებას.

ყოფილმა მუშამ, ამჟამად თერმული საამქროს ოსტატმა ზაურ ჩეხოვემა კარგად იცის, რომ მუშაობის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული სამუშაო პირობებზე, ამიტომ საჭიროა დღენიადაგ ზრუნვადე მათი მოგვარებისათვის. სწორედ ასეთი საკითხების მოსაგვარებლად მოვიდა პარტიუროს მდივანთან კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი. —

— გვინდა რეიდი მოვაწყოთ, თქვა მან, — შევამოწმოთ, როგორ არიან მზად საამქროები სეზონისათვის, თქვენ რას იტყვით?

— ეს მეტად საჭირო საქმეა. იმოქმედეთ. პარტბიუროო დაგეხმარებათ, — უთხრა მდივანმა.

რეიდში ჩაბაეს მუშათა აქტივი, სპეციალისტები. სარეიდო ბრიგადამ ზაურ ჩეხოვის ხელმძღვანელობით შემოიარა ყველა საამქრო, გაესაუბრნენ მუშებს. გაირკვა, რომ ქარხანა გაობრძის ლენინური ბატარეები, მექანიკურ-საამწყობო საამქროს უჩიოდნენ ცუდ გათბობას.

რეიდის შედეგები პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს, სადაც მიიწვიეს მომარაგების გაყოფილების უფროსი ვ. არჩვაძეც, აქვე შეიმუშავეს კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გათბობის სეზონისათვის სამუშაოთა დაჩქარებას.

პარტბიურომ მომარაგების უფროსს დაავალა მომავალ პარტიულ კრებაზე ინფორმაცია გაეკეთებინა მიღებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. და დაიწყო სამუშაოები დადგენილების შესასრულებლად. სახალხო კონტროლის ჯგუფი ყურადღებით ადევნებდა თვალს სამუშაოთა მიმდინარეობას. ქარხანა დროულად მოეზადა გათბობის სეზონისათვის.

ამ ფაქტზე იმისათვის შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება, რომ მას ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის სტილზე. ეს ჯგუფი ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ცხინვალში.

ქარხანაში შექმნილია სახალხო კონტროლის მთავარი ჯგუფი, სამი ჯგუფი და ოთხი საგუშაგო. ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებენ 64 კაცს. ეს დიდი ძალაა. ორგანიზატორული და საკონტროლო მუშაობით ისინი ეხმარებიან კოლექტივს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობს ექვსი სექტორი — საწარმოო გეგმებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შესრულების კონტროლის, პროდუქციის ხარისხის კონტროლის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, ინფორმაციისა და საჯაროობის, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის მდგომარეობის კონტროლის სექტორები.

ქარხნის სახალხო კონტროლიორები დიდ და მრავალმხრივ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ მოწინავეთა გამოცდილება, ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც იბადება ჯგუფებსა და საგუშაგოებში, საყოველთაო გახდეს, დაეხმარონ ქარხანას დიდი ამოცანების გადაწყვეტაში. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ გამოშვებული რთული მანქანები იგზავნება პოლონეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, ინდოეთში, ფინეთში, ალჟირსა და სხვა ქვეყნებში. სახალხო კონტროლიორებს ღირსეული წვლილი შეაქვთ გეგმა-დავალებათა დროულ და მაღალხარისხოვან შესრულებაში.

შარშან ჯგუფმა 20 შემოწმება და რეიდი მოაწყო, წლეულს — ცხრაზე მეტი. შეიმუშავლეს ისეთი საკითხები, როგორიც არის: შრომის დაცვისა და ტექნიკის უსაფრთხოების მდგომარეობა, საექსპორტოდ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასამქმედებელი ობიექტების მდგომარეობა, სოციალისტური საკუთრების დაცვის უსრუნველყოფა, მეცამეტე ხელფასის განაწილება და სხვ.

შემოწმების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ადგენენ გეგმა-კითხვარებს, სადაც ხაზგასმულია მთავარი, რასაც შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მაგალითად, კონტროლის ჯგუფის წევრთა და ქარხნის ადგილკომის წარმომადგენლებთან ერთად შემოწმდა, თუ რამდენად სწორად დაერიცხათ მუშებს საშუალო ხელფასი. გამოვლინდა, რომ ზოგიერთისათვის საშუალო ხელფასი სწორად არ იყო გამოთვლილი. საკითხი ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად მოგვარდა.

სოციალისტური საკუთრების ლიდვის კონტროლის სექტორს კარგად უღვაწია ა. ბიაზროვი. წარმატებით შეამაბს საექსპორტო პროდუქციის შემმოწმებელი სექტორი (უფროსი ტ. ბლიევი). რეგულარულად მოწმდება პროდუქციის ხარისხი. შემოწმების მასალებს განიხილავენ სახალხო კონტროლიორთა მეთაური ჯგუფის სხდომაზე, შედეგებს მოახსენებენ ხოლმე ქარხნის ადმინისტრაციას.

საწარმოო დავალებათა შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით კონტროლის ჯგუფის უპირველესი ამოცანაა. სექტორი, რომელიც ამ საკითხს უძღვება, აკვლევს, რამდენად რეალურია საამქროს, უბნის, ბრიგადის გეგმა, სრულად გამოიყენება თუ არა რეზერვები და შესაძლებლობანი. ჩამორჩენის შემთხვევაში საფუძვლიანად აანალიზებენ მიზეზებს, იღებენ კონკრეტულ ზომებს ჩამორჩენის აღსაკვეთად.

კიდევ რა კონკრეტული საკითხები შეისწავლეს კონტროლიორებმა?

ეს არის შრომის დისციპლინის და გეგმის შესრულების მდგომარეობა, სახალხო მოხმარების ახალი პროდუქციის გამოშვება, მისი ხარისხის გაუჯობესება, ბრძოლა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვის მიმდინარეობა.

სეროიზული ყურადღება ექცევა პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებას სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, აგრეთვე დატაცებისა და სამსახურის ბოროტად გამოყენების ფაქტების აღკვეთას, მატერიალური ფასეულობისადმი მკაცრი კონტროლის დაწესებას პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს.

კონტროლიორები კოლექტივს ეხმარებიან იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია ახალი მანქანების ათვისებასთან, ხელის შრომის მინიმუმამდე შემცირებასთან. შემოწმებებისა და რეიდების შედეგების მიხედვით დგება აქტები, საჯაროს ხდიან გამოვლენილ უფლებამოსილებას, მუშავდება რეკომენდაციები მათს აღსაკვეთად.

სტენდებზე, კედლის გაზეთებში კონტროლის ჯგუფი თვალსაჩინოდ უჩვენებს, როგორ მუშაობენ სახალხო კონტროლიორები, რა დარღვევები აღმოაჩინეს მათ.

კედლის გაზეთი „ზა კაჩესტვო“ განიხილავს პროდუქციის ხარისხის საკითხებს. კონტროლიორთა მთავარი ჯგუფი კომკავშირულ პროფქმტორთან ერთად ავლენს არამეურნეობრიობის ფაქტებსა და სხვა დარღვევებს, რაც ისახება ხოლმე სატირული გაზეთის ფურცლებზე.

ზაურ ჩეხოვეი ინიციატივიანი ადამიანია. მას უნარი აქვს თავისი ენთუზიაზმით, ენერგიით აღანთოს სხვები, ჩაბაას ისინი აქტიურ შემოქმედებითს მუშაობაში. იგი იმისათვის ზრუნავს, რომ უფრო სრულყოს სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის მეთოდები. რეგულარულად ეწყობა შერჩევითი, კომპლექსური, მასობრივი შემოწმებები. ფართოდ იყენებენ კონტროლის ისეთ ოპერატიულ ფორმას, როგორიც არის რეიდი. მოელი მუშაობა მიმდინარეობს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით.

კონტროლიორთა აქტიური მუშაობა ნაყოფიერ გავლენას ახდენს საწარმოო დავალებათა შესრულებაზე. ქარხანამ ვადაზე ადრე შეასრულა ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის მანქანების მიწოდების გეგმა. საექსპოლატაციოდ დროულად გადაეცა კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო ნაგებობა, მწყობრში ჩადგა ახალი გალვანური უბანი, რამაც ხელი შეუწყო შრომის პირობების გაუჯობესებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალმა კონსტიტუციებმა განამტკიცეს მოქალაქეთა ის უფლებანი, რომ მონაწილეობდნენ სახელმწიფო-საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. ამ კონსტიტუციებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სახალხო კონტროლის ორგანოები სახელმწიფო კონტროლს უხამებენ საზოგადოებრივს. ახლა, როცა ჩვენს ხელთ არის საღღეისო მოქმედების პროგრამა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე და მეცხრე პლენუმების გადაწყვეტილებანი, ქარხნის მთავარი საკონტროლო ჯგუფი იღვწის მათი განხორციელებისათვის.

Თ. ᲒᲐᲚᲐᲕᲐᲜᲝᲕᲘ,

ქ. ცხინვალის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲛᲘᲦᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲕᲘᲜ ᲐᲙᲚᲘᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲛᲕᲔᲑᲡ ᲣᲚᲣᲤᲐᲡ?

ᲐᲓᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ დიდად ზრუნავს მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობისათვის. ამის დასტურია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 7 იანვრის დადგენილება „ვაჭრობისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელშიც ბავშვთა კვების ღონისძიებებს ფართო ადგილი აქვს დათმობილი.

ამასთან ერთად ბევრ საწარმოში დაშვებულია სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნათა დარღვევები, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები, რისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ და ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის გეგმის შესრულების საანგარიშგებო მონაცემებიდან ამოღებულ, 38,4 და 88,0 ათასი მანეთი. ამ შემოწმების პერიოდში ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში გეგმის შესრულების საანგარიშგებო მონაცემებიდან ამოღებული იყო 17771 მანეთი.

სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და დამტკიცებული ნიმუშების უხეში დარღვევები დადგინდა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (მინისტრი — ა. სობოლევი, მოადგილე — ი. ბორდანიშვილი) ფეხსაცმელების ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების საწარმოებში.

სამინისტრომ ჯერ კიდევ ვერ

№ 130 გაერთიანებაში (ყოფილ დირექტორი გ. რეხვიაშვილი) შემავალ ყრუ-მუნჯ ბავშვთა და თბილისის კომბინატის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატებისა და საზოგადოებრივი კვების საქარხნო რაიონული ტრესტის № 288 გაერთიანებაში (ყოფილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ო. გვაბავა) შემავალი სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სასადილოებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია. ამიტომ კოლმეურნეობის გამგეობისა და სახალხო კონტროლის ჯგუფის საქმისათვის უფრო კონკრეტული და მრავალმხრივი უნდა იყოს.

ტყე ჩვენი სიმდიდრეა. „მწვანე მეგობრის“ ქსელის გაფართოებაზე სოფელ გაჭედილის მშრომელები დღენიადაგ ზრუნავენ. ამას მოწმობს ფერდობებზე ტყის გაშენება, ფოთლოვან ხეთა კორომები, რომლებიც საკუთარი ძალებით შეეგმენით. კონტროლიორთა თვალს არც ტყის უნებართვო ჭრის ცალკეული შემთხვევა გამოპარვია. ჯგუფმა ეს საკითხი საგულდაგულოდ შეისწავლა ლენინური უბანში. უნებართვო მჭრელები დავაჯარიმეთ, ტყისმცველი შ. წულაია დასსაჯა.

ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ

ᲛᲘᲦᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲣᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲘᲮᲐᲠᲘᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ

**ᲒᲘᲝᲠᲒ

საერთაშორისო ცხოვრება

● საკავშირო იტყობინებს

ᲕᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲪᲔᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ



ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ საზოგადოებრიობამ ილია ჭავჭავაძის დაბადების 140-ე წლისთავი აღნიშნა როგორც ხალხთა მეგობრობისა და მშობის დღესასწაული. სოხუმის ს. ი. ჭანბას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომის პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პატიაშვილი, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ა. ს. სენიოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განაყოფიერების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, საკავ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის მოადგილე ე. ვ. ეასილიევი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და ფუნქციონერები, ათტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. ვ. მარშანიამ.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ა. ძიძარიამ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი და მამულიშვილი, დიდ პატივს სცემდა სხვა ხალხების ეროვნულ ღირსებებს, თქვა ძომხსენებელმა. ამის შესაბამისად ადასტურებს მისი დამოკიდებულება აფხაზეთისა და მომმე აფხაზი ხალხის მიმართ.

ილია კარგად იცნობდა აფხაზეთს, პიროვნული ურთიერთობა ჰქონდა მის ბევრ საზოგადო მოღვაწეთან, აფხაზეთის შესწავლილი ჰქონდა მასალები აფხაზეთის შესახებ, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა საქართველოს ბევრ ეურნალ-გაზეთში. ილია ჭავჭავაძე მეგობრობდა მწერალ გ. მ. შერვაშიძესთან (ჩაჩბა), დავით ჩხოტუასთან, დავით ანჩაბაძესთან, გრიგოლ შერვაშიძესთან და აფხაზი ინტელიგენციის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ილია ჭავჭავაძისა და ალიკ წერეთლის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. ი. გულიას სულიერ ჩამოყალიბებაზე.

საბჭოთა წლებში ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფართოდ მისაწვდომი გახდა აფხაზი მკითხველისათვის. მისი ბევრი ნაწარმოები თარგმნეს საოკეთესო აფხაზმა ლიტერატორებმა.

დიდი ქართველი მწერლისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ახლა აფხაზეთში ბევრი ქუჩა, სკოლა და კოლმეურნეობა მის სახელს ატარებს.

საღამოზე გამოვიდნენ ეურნალ „ალაშარას“ რედაქტორი გ. ა. გუბალია, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ვ. კალანდია, სოხუმის გეშოშემკეთებელი ქარხნის მუშა ს. ბ. კორიტნი. მათ გულთბილად ბლაგოდარეს მწერალზე, პოეტსა და მოაზროვნეზე, რომლის შემოქმედება დღესაც ასე აღელვებს ადამიანებს.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იყო დრამატული კომპოზიცია ილიაზე ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით. (საქინფორმი).

შემაჯამებელ მეცადინეობებზე

ცხოვრებასთან კავშირში

სამი ძირითადი მოვლენა განსაზღვრავდა და ტონს აძლევდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განათლებას მიმდინარე სასწავლო წელს. ეს იყო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღება, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი და ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები—„ცისფერ მიწა“ და „აღორძინება“.

ეს ძმენტები დაედო საფუძვლად ემოციურ-ემოციურ თეორიულ კონფერენციას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლისავი საამქროს „სკკპ თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შეხსენებელ სემინარზე“, სადაც პროპაგანდისტია საამქროს უფროსი ბ. ზასლავსკი.

კონფერენცია დაიწყო ლ. ი. ბრეჟნევის „ცისფერ მიწის“ და „აღორძინების“ განხილვით. რეფერატი წაიკითხა საამქროს ეკონომისტმა თამარ პარგალიანმა. მან ამ ნაწარმოებებს ხალხის დიადი გმირობის მატიანე უწოდა და ილაპარაკა მათ უდიდეს მნიშვნელობაზე როგორც წვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.

მოხსენებით — „სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარება, მისი არსი და განვითარების პერსპექტივები“ — მსმენელთა წინაშე წარდგა საამქროს უნინ უფროსი ნ. ოპოკინი, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა მომწიფებული სოციალიზმის ეპოქის საერთო-სახალხო სახელმწიფო, როგორც დემოკრატიის უმაღლესი ფორმა.

საამქროს ტექნიკური კონტროლის სამსახურის უფროსი ვ. გაბუნია თავის რეფერატში — „მეათე ხუთწლედის მისაღწევი დამკვრელური შრომის წელი“ — შეეხო რა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ძირითად თავისებურებებს, შემდეგ ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისისა და დეკემბრის პლენუმების ფუძემდებლურ მითითებებზე, კონკრეტულად კი ხარისხზე გაამახვილა ყურადღება და გააშუქა რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ქალაქსა და ქარხანაში. ითქვა ისიც, რომ ჯერ კიდევ ხმირია ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

საინჟინერო დარბაზის ოსტატმა თ. სუმბაძემ რეფერატი სოციალისტური და ბურჟუაზიული დემოკრატიის ძირეულ წინააღმდეგობებს იხილა. ავტორმა საკითხის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და მეცნიერული მიდგომა გამოავლინა.

ყოველი გამოსვლის ცალკეული თეორიული დებულება ილუსტრირებული იყო ქარხნის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით. ერთი მათგანი უხვიდა საბჭოთა მოქალაქისათვის კონსტიტუციით მინიჭებულ ჯანმრთელობის დაცვის უფლებას. — ყოველწლიურად, — თქვა წყალგაყვანილობის ოსტატმა ა. ბოლოტინმა, — ქარხნის ასობით და ათასობით მუშაკი უფასო ან შეღავათიანი საკურორტით მკურნალობს და ისვენებს ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მარშან იაღლუჯის მთაზე ეიგო და წარმატებით მუშაობს მეტალურგთა პროფილაქტორიუმი, სადაც მუშაკები წარმოების მოუწყლელ მკურნალობენ; სოფელ ფოლადაურში ვვაქვს მუშათა კეთილმოწყობილი დასვენების ზონა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ როგორც მომხსენებელი და რეფერატის ავტორები, ისე მსმენელები, ღრმად დაუფლებიან თემას, უნარიანად გამოუყენებიათ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ისინი ავლენდნენ თეორიული აზროვნებისა და საკითხების მიდგომური ანალიზის უნარს, ამავე დროს საამქროს წინაშე მდგარ კონკრეტულ სამეურნეო ამოცანებს მოხერხებულად უკავშირებდნენ ამა თუ იმ თეორიულ დებულებას და მათთან მჭიდრო ურთიერთობაში განიხილავდნენ. სწორედ ეს იყო განსაკუთრებით დამახასიათებელი და ნიმანდობლივი ამ თეორიული კონფერენციისათვის.

შემაჯამებელ კონფერენციას დაესწრნენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. გიორგაძე და მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე.

Ლ. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

მეცნიერების განვითარების დამსახურებისათვის

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო თანამშრომლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მთელი რიგი საბჭოთა მეცნიერები არჩეული არიან ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებად და მიენიჭათ მისი ოქროს მედლები „მეცნიერების განვითარებასა და კაცობრობის წინაშე დამსახურებისათვის“.

29 მაისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. კოჟეუშნიკმა საბჭოთა მეცნიერებს გადასცა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლები და საპატიო წოდების დიპლომები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიკოსი ი. პ. ალექსანდროვი, რომელმაც ყადღობა გადაიხადა დიდი პატივისათვის.

(საკდესი).

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ № 10

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეათე ნომერი.

მასში გამოქვეყნებულია ბ. გულიაშვილის სტატია — „პოლიტიკური აგიტაციის უპირველესი მიზანი: ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება“ (გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშაობის გამოცდილებიდან). რუბრიკით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!“ — დაბეჭდილია ვოსსტატიკი „სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსი და ზისი განხორციელების გზები“ — ᲛᲢᲝᲠᲘ Მ. ᲒᲐᲛᲔᲯᲘᲫᲔ.

„კომკავშირული ყრილობის შემდეგ“ — ეს რუბრიკა აქვს წამძღვარებული საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის მდივნის გ. ნადაშვილის წერილს „ტრადიციების ერთგულნი“. მკითხველს გამოცდილებას უზიარებს საჩხერის რაიონის არგვეთის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. თურმანიძე წერილში „დისციპლინა, პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა — ჩვენი ყურადღების ცენტრში“. რუბრიკით „აღზრდან — კომპლექსური მიდგომა“ გამოქვეყნებულია პროფესორ ტ. ᲮᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ სტატია „ოჯახი, სკოლა, შრომითი კოლექტივი“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲚᲘᲗ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ საზოგადოებრიობის ფართო წრეებში უდიდესი ინტერესით ხვდებიან საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ინიციატივებს, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების ღონისძიებათა ვრცელ და რეალისტურ პროგრამას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიაზე ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აფასებენ როგორც მნიშვნელოვან კონკრეტულ წვლილს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. პლანეტის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ᲑᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ სესიაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში უპირველესი ყურადღება დაეთმო მანამდე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ წინადადებას ყველა სახეობის ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტის შესახებ. საბჭოთა კავშირმა, წერს გაზეთი, მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას დააწესოს ამ საკითხზე მოლაპარაკების დაწყების თარიღი და შექმნას შესაბამისი მოსამზადებელი კომიტეტი. იგი აღნიშნავს აგრეთვე იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ანიჭებს ნეიტრონული იარაღის საბრძოლო აკრძალვის საკითხს.

„ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲢᲐᲘᲛᲡᲘ“ იტყობა, რომ მაღალი თანამდებობის ამერიკელი პირები როგორც „არსებითად დიდმნიშვნელოვან საბჭოთა წინადადებას“ იხილავენ ა. ა. გრომიკოს განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამჟამად მოქმედებული შეთანხმების ხელმოწერისთანავე დაიწყოს მოლაპარაკება, რომელსაც ყველა საჭირო ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოაყვეს სტრატეგიული შეიარაღების დონეთა არსებითი შემცირება.

საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსთხოვა გაოცეული პასუხი თავის წინადადებაზე ნეიტრონული ბომბის წარმოების აკრძალვის შესახებ აღნიშნავს კანადის „ოტავა ჯორნელი“, რომელიც იმოწმებს სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სიტყვებს ამის შესახებ, რომ „ნეიტრონული იარაღი უნდა აიკრძალოს საბოლოოდ და საშუალოდ“, როგორც „მასობრივი მოსპობის განსაკუთრებით უწყალო და სასტიკი საშუალება, რომლის მიზანია ყოველივე ცოცხალის მოსპობა“.

დასავლეთგერმანული „ᲑᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲐᲜᲖᲘᲪᲘᲒᲔᲠᲘ“ აღნიშნავს, რომ მოითხოვა რა ნეიტრონული იარაღის უეჭველი აკრძალვა, მოსკოვმა ამავე დროს განაცხადა, რომ დაინტერესებულია დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განვრძობით.

ფრანგული „ᲚᲘᲛᲐᲜᲘᲢᲔ“ ყურადღებას უთმობს საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა. საბჭოთა დელეგაციამ, წერს გაზეთი, მხარი დაუჭირა აგრეთვე იმას, რომ შემცირდეს ატომური იარაღის გავრცელების რისკი და განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ ატომურმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება არ განალაგონ ატომური იარაღი — ატომური მუხტები, ბომბები, ყუმბარები, ნაღმები — იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ამჟამად არის.

ბერლინის „ᲐᲜ-ᲜᲘᲥᲔᲚᲘ“ აზრით, საბჭოთა კავშირის პოზიცია სესიაზე ეყრდნობა მოქმედების ნათელ და მკაფიო პროგრამას, რომლის მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის შემცირება, შეზღუდვა და მისი გამოყენების შეწყვეტა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: საკავშირო ცენტრი პრაღის ახალ მიკრორაიონში.

სოციალიზმის ქვეყნებში

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ

„ᲢᲝᲙᲐᲛᲐᲙᲘ“ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

უკვე ნახევარი წელიწადია, რაც ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტში წარმატებით მუშაობს საბჭოთა დანადგარი „ტოკამაკი“ — ასე უწოდებენ შემოკლებით „მაგნიტურსიეიშიან ტოროიდალურ კამერას“, რომელიც გამოიყენება მაღალი ტემპერატურის პლაზმის მისაღებად და გამოსაკვლევად. შეისწავლა რა ბირთვული სინთეზის მართვა, ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ახალ მძლავრ ენერგეტიკულ წყაროს. ამდენად გასაგებია, თუ რატომ უთმობს ესოდენ დიდ ყურადღებას თანამედროვე მეცნიერება ფიზიკის ამ დარგს.

ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერების მიერ „ᲢᲝᲙᲐᲛᲐᲙᲘ“ სხვადასხვა პარამეტრის პლაზმის კვლევაში მიღწეულმა შედეგებმა დამსახურებული აღიარება პოვა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1977 წლის დამლევს პრაღაში გაიმართა პლაზმის ფიზიკისა და მართვადი სინთეზის მერვე სრულიად ევროპის კონფერენცია

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ

ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების და პროფესიული სრულყოფის სხვადასხვა ფორმებს შორის განსაკუთრებით პოპულარულია ეგრეთ წოდებული სოციალისტური შრომის სკოლები.

სასწავლო პროგრამაში, რომელიც ორ წლისათვის არის გათვალისწინებული, მთავარი ყურადღება ეთმობა შრომის მოდერნიზაციის, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემებს.

პირველი ასეთი სკოლები ხუთი წლის წინათ შეიქმნა, ამჟამად კი მათი რიცხვი 16 ათასია. მეცადინეობაში ჩაბმულია ნახევარ მილიონამდე მუშა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲔᲠᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ ᲑᲠᲜᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ საიუბილეოა. ქალაქი უკვე დიდი ხანია მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ საგამოფენო და საკონგრეს ცენტრად იქცა. ოდესღაც მეფე ვაცლავ პირველმა ბრნოს მრავალი პრივილეგია მიანიჭა, მათ შორის საკონგრეს აუქციონების მოწყობის უფლებაც, ხოლო 50 წლის წინათ იმ ადგილს, სადაც ამჟამად საგამოფენო კომპლექსის ისტორიული ცენტრია, გაიმართა თანამედროვე „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“ გამოფენა. სწორედ ამ ღონისძიებით დაედო საფუძველი ბრნოს ახალ ისტორიას.

ძნელია ყველა იმ გამოფენისა და ბაზრობის ჩამოთვლა, რომლებიც მას შემდეგ გამართულა. ერთობ ფართო და მრავალფეროვანია წლეულდელი პროგრამა. აქ მოწყობა მანქანათმშენებლობის საიუბილეო მე-20 საერთაშორისო ბაზრობა და სასაღრო მოხმარების საქონლის მე-9 საერთაშორისო ბაზრობა, პირველად გაიმართება საბრძოლველო რობოტების საერთაშორისო გამოფენა.

ბრნოს გამოფენები და ბაზრობები ჰელსინკის სულისკვეთებით საერთაშორისო საკაბრო ურთიერთობების და მსოფლიოს ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების ჩინებულ ასპარეზად იქცა. სულ უფრო ღრმავდება მათი როლი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის კოოპერირების, სპეციალიზაციისა და შრომის დანაწილების განვითარებასა და სრულყოფაში. ბაზრობათა ექსპოზიცია მიღწეულია ნამდვილ დათვალიერებად იქცა, ხოლო სხდომათა დარბაზებში ხელს აწერენ ახალ დოკუმენტებსა და გარიგებებს, ხელშეკრულებებს, რომლებიც ხელს უწყობს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამების წარმატებით განხორციელებას.

• • •

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 29 მაისი (საკდესი). ისინი პიტლერელებივით უწოდებენ თავის თავს ნაციონალ-სოციალისტურ პარტიას. მან ჰყავთ მეთაური — 36 წლის „ორტსგრუპენლაიტერი“ ვოლფგანგ რალი, რომელიც თავის თავს უწოდებს აგრეთვე „გაულაიტერს“. გულგრძელ ხელისუფალთა და პოლიციის თვალწინ ნეონაცისტები დაუბრკოლებლად აარეკლურებენ თავიანთ საქმიანობას დასავლეთ ბერლინში.

ბაბავენ რა თავიანთ მიუნხენელ წინამორბედთ, ისინი ხშირად აწყობენ თავყრილობებს ლუდხანებში. ერთი თვის წინათ რალის ბრძანებით მიხაკისფერმა მხედრობამ ერთ-ერთ ლუდხანაში აღნიშნა „ფიურერის დაბადების დღე“. დარბაზში გამოფენილი იყო ჰიტლერის პორტრეტი.

მეორედ ნეონაცისტები თავყრილობაზე ლუდხანაში მოვიდნენ შავ ხალათებში გამოწყობილნი, სვასტიკიანი სამკლაურებით. ბევრ მათგანს თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი.

დასავლეთ ბერლინის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას არაერთხელ მოუთხოვია, რომ ქალაქის ხელისუფლებამ გადამწყვეტი ღონისძიებანი ეხმარათ ნეოფაშისტთა საქმიანობის წინააღმდეგ, მაგრამ ხელისუფალნი, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ. მხოლოდ ამ დღეებში აშკარად საზოგადოებრიობის ზეგავლენით პროკურატურის ორგანოებმა გამოაცხადეს, რომ განზრახული აქვთ სასამართლო საქმე აღძრან 11 პირის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად ედებათ ნეონაცისტური პარტიის შექმნა.

როგორც კი ეს ხელისუფლებმა გამოაცხადეს, გამოირკვა, რომ „გაკრა“ დიდნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცებულებანი, იუწყება დასავლეთ ბერლინის „ზეითი „შპანდაუერ ფოლკსბლატი“.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲜᲝᲢᲐ

ᲰᲐᲜᲝᲘ, 29 მაისი (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა საგანგებო იუწყება, რომ 29 მაისს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფონგ ბიტ შონმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში ლი გადასცა მას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 28 მაისის ნოტა.

ნოტაში წამოყენებულია წინადადება, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებმა და მთავრობებმა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ, რათა განიხილონ და მოაგვარონ ფიზიკოსი ოპოზიციის ბანაკიდან განრიახ აჩვენებს „ლიბერალობას“, რათა ბიყოლიოს ამომრჩევლების ის ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ სოციალ-დემოკრატიულ და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიებს აძლევს ხოლმე ხმას. სხვები აყენებენ რეაქციულ, ანტიკომუნისტურ ლოზუნგებს იმ იმედით, რომ მემარჯვენე ექსტრემისტებს ხმის მოიპოვებენ.

პარტიების ამოსავალი პოზიციები მხარეებში სხვადასხვაა. ეს განსაკუთრებით ეხება თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას. ჰამბურგში იგი კოალიციაშია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, ხოლო ქვემო საქსონიაში — ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან. აღნიშნავს რა ამ ფაქტს, ჟურნალი „შპიგელი“ წერს, რომ თავისუფალ დემოკრატებს „ორმაგი თამაში“ ეხლებიათ.

ქვემო საქსონიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ორგანიზაცია ისწრაფვის აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვოს ლანდტაგში, რათა შემდეგ მარტო თვითონ შექმნას სამხარეო მთავრობა. მაგრამ მას არჩევნების ასე დამთავრების იმედი არა აქვს და ამიტომ გამუდმებით აცხადებს, რომ გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს კოალიცია თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან. მის ხელმძღვანელობაში მიიჩნიათ, რომ თავისუფალ დემოკრატებთან კოალიცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს, რადგან „გრძელვადიანი თვალსაზრისით ეს უფრო სასარგებლოა“.

ბევრს ცდილობს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ჰესენის სამხარეო ორგანიზაციაც, რომელიც ისწრაფვის თავის მხარეზე გადაიყვანოს თავისუფალი დემოკრატები, ჩამოაშოროს ისინი მმართველ კავშირს. გაზეთი „კელნერ ანზეიგერი“ აღნიშნავს, რომ თუ ჰესენში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი გახელისუფლდა, მაშინ შეიძლება ბონის კოალიციაც შეირყეს. გაზეთი „ეუნერე �აი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ჰესენის ორგანიზაცია და მისი თავმჯდომარე ა. დრეგერი „გამოირჩევიან ანტიკომუნიზმისა და „ცივი ომის სულისკვეთებით“.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს გ. კონინკს მიუნია, რომ არჩევნების ჰესენში „ვადამწყვეტი მნიშვნელობა“ აქვს. ოდგილობრივი პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ თუ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი ამ მხარეში თავისას მიაღწევს და გახელისუფლდება, მაშინ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის ბლოკი ბუნდესტაგში ხმების თითქმის ორ მესამედს მიიღებს. და ოპოზიცია შეძლებს სერიოზულად დაამუხრუჭოს ანდა საერთოდ ჩაახშოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა.

აქ დიდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე მომავალი არჩევნებისადმი, რომელიც ქვემო საქსონიაში უნდა გაიმართოს. სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან იქ ძირითად კანდიდატად წამოყენებულია კ. რავენსი, რომელმაც ბონში მიხისტრის პოსტიც კი მიატოვა, რათა მთლიანად გადასულიყო საარჩევნო კამპანიაზე. მას არაერთგზის ალუნიშნავს, რომ ქვემო საქსონიაში არჩევნების შედეგმა შეიძლება გავლენა მოახდინოს „ბონის სამთავრობო კავშირის“ ბედზე.

ჰამბურგში სოციალ-დემოკრატიული პარტია ძიხნად ისახავს აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებას. ჯერჯერობით კი ძნელი სთქმელია, მიაღწევენ თუ არა ამ მიზანს.

ყველა სამხარეო არჩევნებში კოხსტოუქციული პროგრამით გამოდის გერმანელთა კომპარტია. თავის კამპანიის იგი უფრესად ძნელ პირობებში აწყობს: რეაქცია ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს მისი გავლენის ზრდას. მაგალითად, ქვემო საქსონიაში იყო გერმანელთა კომპარტიის კანდიდატების დისკრიმინაციის შემთხვევები.

— კომუნისტების პროგრამა შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს, თუ როგორ დაეძლიოთ მასობრივი უმუშევრობა, გადავჭრათ ახალგაზრდობის პრობლემები, დავიცვათ მშრომელთა ინტერესები და უფლებები მრნოპოლიების შემოტევის წინაშე, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გერმანელთა კომპარტიის გამგეობის წარმომადგენელმა ე. ვებერმა. — პროგრამაში ალინიშნა, რომ აუცილებელია ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, სოციალისტურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისათვის, გამალებული შეიარაღებისა და ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ.

როგორც აქ ყველგან ალიარებენ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოსახლეობის განწყობილებაზე საგრძნობი დადებითი გავლენა მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელმა ვიზიტმა ამ ქვეყანაში, მისმა მოლაპარაკებამ და შეხვედრებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ვიზიტის შედეგებმა ახალი ბიძგი მისცა დაძაბულობის შენელების, თანამშრომლობისა და განიარაღების პოლიტიკას, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეული „ფორვერტსი“ მაღალ შეფასებას აძლევს ამ ვიზიტს. იგი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი განუხრელად და სერიოზულად ესწრაფვის კონკრეტულ ღონისძიებებს გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დაგეგმ... საამხარეო პარლამენტების არჩევნები სერიოზული მოგვლენაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცხოვრებაში. ალსავლეთგერმანელმა ამომრჩეველებმა დიდნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ და ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს მთელი ევროპის ბედ-იღბალზე, მის პოლიტიკაზე.

Ა. ᲨᲘᲠᲑᲐᲜᲘ,

(საკდესის კორ.).

ᲑᲝᲜᲝᲜ.

ᲡᲛᲐᲣ ᲠᲣᲩᲠᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ᲙᲝᲜᲐᲙᲠᲘ, 29 მაისი (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტ ... სსრ კავშირ ... ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ, 29 მაისი (საკდესი). აქ დამთავრდა ცნობილი ანტიფაშისტის ეუმბერტო დელგადოს სახელობის საერთაშორისო ტრიბუნალის პირველი ხხდომა. იგი ეხებოდა დანაშაულობებს, რომლებიც პო



მკვიდრად ნაგები ძმობის ტაძარი

მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ძმური სიყვარულითა და პატივისცემით იყო განმსჭვალული რუსი, უკრაინელი, ამიერკავკასიის და სხვა ხალხებისადმი, მათი კულტურებისადმი. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი თუ სხვანი ერთმანეთისაგან კარგად ანსხვავებდნენ რუსეთის თვითმპყრობელობისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ისინი ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებლად იბრძოდნენ. სამაგიეროდ მშრომელი ხალხის მიმართ ღრმა სიმპათიებით იყვნენ ჯამსჭვალული. ისინი ქადაგებდნენ მეზობელი ხალხების, აგრეთვე რუსეთისა და უკრაინის მოწინავეთა წარმომადგენლებთან. მშრომელ ხალხთან ძმობისა და მეგობრობის იდეას, ერთმანეთის სიყვარულისა და პატივისცემის იდეას.

წლების განმავლობაში ილია ჭავჭავაძე სათავეში ედგა საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემას „ივერიას", რომელიც ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეის ერთ-ერთი ენერგიული მეხტბერ-მებაირა ხ ტ რ ე იყო. „მე გამსჭვალული ვარ იმ აზრით, — ამბობდა ქართველი მგოსანი, — რომ ხალხთა შორის კარგი დამოკიდებულების გარეშე არა აქვს შვება საქართველოს". ილიამ „ივერიის" ფურცლებზე სხვა ერების გვერდით დიდი ყურადღება დაუთმო მომმე უკრაინელი ხალხის კულტურის საკითხებს, ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრების მდგომარეობაზე საუბარს.

როცა ნიკო ლომოუმბა თარგმნა ტარას შევჩენკოს „მუშა ქალი", ილია ჭავჭავაძემ იგი 1881 წელს ჟურნალ „ივერიაში" გამოაქვეყნა. უკრაინული ლიტერატურისადმი ილიას ინტერესს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მის პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა უკრაინელი მგოსნის ა. ნაუროცკის ხელნაწერი თხზულებანი, ხარკოვის არქივში აღმოჩნდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მომართვა ხარკოვის ასეთივე საზოგადოებისადმი. მომართვაში უკრაიელ კოლეგებს სთხოვენ გამოუგზავნონ მათ მიერ გამოცემული სკოლების პროგრამა და აცნობონ ზოგი საინტერესო საკითხი. ამ წერილს ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის ხელმეწყობითა და მეთაურობით „ივერიამ" მომმე უკრაინელი ხალხის საუკეთესო ტრადიციების, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევათა ჯროკაგანდა-პოპულარიზაცია გასწია. ამისათვის დიდმა ქართველმა მამულიშვილმა გამოიყენა უკრაინული რეალისტური დრამატურგიის და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლების მიხაილო სტარიცკის, მარკო ვროკპივნიცისა და სხვათა საქართველოში ჩამოსვლა და „ივერიას" მკითხველებს მომმე უკრაინელების შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობები მიაწოდა.

ილია ჭავჭავაძის დიდმა ჰუმანიზმმა, ღრმა პატრიოტიზმმა და ინტერნაციონალიზმმა, გულწრფელმა მეგობრულმა გრძნობებმა სხვა ხალხების, კერძოდ კი უკრაინელებისადმი თავისი გააკეთა. ქართველ ხალხში ახალი ძალით გაღვიძდა ისტორიული მეგობრისადმი სიყვარულის გრძნობა, გაიხარა პატივისცემა მათ მიმართ, განმტკიცდა ამ ორი ერის მეგობრობის ჯაჭვი.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის სახელოვანი წარმომადგენელს — ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მეუმრნველი არ დარჩენია უკრაინელ ინტელიგენციას. 90-იანი წლების უკრაინულ პერიოდულ პრესაში ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ილია ჭავჭავაძეს საგანგებო ადგილი ჰქონდა მინნეული.

1893 წელს უკრაინულ ჟურნალებში „ზორიასა" და „პრაკდაში" დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები: „გაზაფხული", „მას აქეთ, რაკი", „გუთნის-დედა", „ელეგია", „პოეტი", „ქართლის დედა" და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შორეულ ციმბირს გადასახლებაში ყოფნის დროს პოეტი-რევოლუციონერის „ავლო გრაბოვსკის მიერ ილიას ლექსების თარგმნა.

1897 წელს ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი და დაბადებიდან სამოცი წელი სრულდებოდა, მაგრამ ხელისუფლებას ეშინოდა ამ თავყრილობისა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა ი. ჭავჭავაძის იუბილეს ჩატარება.

ასეთ ვითარებაში ქართველ ხალხს გვერდით უდგნენ უკრაინელი თანამოძმეები. უკრაინელი ხალხის სახელით ისინი საგანგებო დელეგაციას გზავნიან საქართველოში და პატივსაცემ და საყვარელ მწერალს ადრესს მიართმევენ.

უკრაინული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლები თუ საზოგადო მოღვაწენი — მიხაილო კოციუბინსკი თუ ბორის გრინჩენკო, ვოლოდიმირ სამაილენკო თუ მარია ზაგირნა, ო. რუსოვი თუ გრ. კოვალენკო ქართველ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს ერის სახელოვან შვილად თვლიან. მათი აზრით, ილია ჭავჭავაძეს საპატიო ადგილი უკავია ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში. და არა მარტო მშობლიური ხალხისა, გამოჩენილმა უკრაინელმა მოღვაწეებმა თავის ადრესში აღნიშნეს ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამ, მისმა დიდებამ, გადალახა კავკასიონის მთა-გორები და უკრაინაშიც ჩაადწია.

უკრაინულ საზოგადოებას შემდგომ ხანებშიაც არ განელებია ინტერესი გამოჩენილი ქართველი შემოქმედისა და მოღვაწისადმი. ეს გასაგებიც იყო. ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მეთაური ილია ჭავჭავაძის საზოგადო მოღვაწეობა თუ მისი შემოქმედებითი იდეები ახლობელი და გასაგები იყო უკრაინელი პროგრესული ინტელიგენციისათვის. ამიტომაც ილია ჭავჭავაძის დაღუპვას ასე მწვავედ გამოეხმაურა იმდროინდელი უკრაინული პრესა, უკრაინელი საზოგადოებრიობა.

ილიას საზიზღარი მკვლელობის მეორე დღესვე უკრაინის ცენტრალურმა გაზეთმა „რადამ" გამოაქვეყნა ცნობა, სადაც მწუხარებით აუწყა მკითხველებს საქართველოს დიდი მოამაგის გარდაცვალება.

გაზეთი არ დაკმაყოფილებულა ამ მოკლე ინფორმაციით. სულ მალე, 18 სექტემბერს მის ფურცლებზე გამოქვეყნდა მოზრდილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო ილია ჭავჭავაძის დიდი დამსახურება ერის წინაშე.

უკრაინელი ხალხისათვის ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით ახლობელი და საყვარელი მწერალი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. უკრაინელმა მწერლებმა ფართოდ გააცნეს თავის მკითხველებს ქართველი პოეტების. მათ შორის ილია ჭავჭავაძის შემოქმედება. უკრაინელ ენაზე მრავალგზის გამოქვეყნდა ილიას ნაწარმოებები პირველი საბჭოთა პოეტი, რომელმაც ქართველი მგოსნის სტროფები აახმიანა უკრაინულად, იყო პავლო ტიჩინა, უკრაინული საბჭოთა პოეზიის პატრიარქი.

1961 წელს კიევში გამოიცა „ქართველი ხალხის პოეზიის ანთოლოგია". ანთოლოგიაში მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის ბევრი ლექსი. მეცხრამეტე საუკუნეში თარგმნილი ლექსების გვერდით დაბეჭდილია გამოჩენილი უკრაინელი საბჭოთა შემოქმედის მიერ ნათარგმნი ნაწარმოებები, რომელთა შორის არის ოლეს გონჩარის მიერ ბრწყინვალედ ნათარგმნი „ყვარლის მთებს" მიკოლა ბაჟანის მიერ უკრაინულ ენაზე შესანიშნავად გადატანილი „ბაზალეთის ტბა", და ოლექსა ნოვიცკის ჩვეული ოსტატობით ახმიანებული ილიას რამდენიმე ლექსი. გარდა ამისა, შემდგომში ილია ჭავჭავაძის პროზაული ნაწერებიც ითარგმნა უკრაინულად. „კაცია-ადამიანის?!" და „ოთარაანთ ქვრივის" მშვენიერი თარგმანით ოლექსა სინიჩენკომ უკრაინელ მკითხველს გააცნო ქართველი შემოქმედის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩენილი მეთაურის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება ხალხთა მეგობრობის მაღალი იდეებით იყო გაცისკრთვნებული. დიდი ილიას საზოგადო საქმიანობასა თუ შემოქმედებით მოღვაწეობაში უკრაინელ ხალხთან ძმობას საგანგებო ადგილი უკავია. ამიტომაც ასეთი სიამაყით ვიხსენებთ დღეს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ურთიერთობას მომმე ხალხებთან.

ოთარ ბაქანიძე,
პროფესორი.

„ავტოპორტრეტი"

პრემიერა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

ბათუმი. ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში მაყურებელმა ნახა პრემიერა „ავტოპორტრეტი". პიესის ავტორია დრამატურგი ალ. ლორია, რომელმაც თავისი ნაწარმოები მიუძღვნა ახლახან გარდაცვლილი მამის ცხობილი მწერლის პარმენ ლორიას ხსოვნას.

აპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ა.ჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ჩაიძე, მხატვარი — ა.ჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ფილიპოვი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის თ. შამელაძეს.

აპექტაკლში როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა მ. შერვაშიძემ და თ. სულხანიშვილმა, მსახიობებმა ს. ბახიაშვილმა, ნ. იაკობიძემ და ნ. არბოლიშვილმა.

რ. რევაზიშვილი.

სოფელს შეემატა

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). აჭარის წყალი მთის სოფელია, ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი კლუბ-კინტორა. კლუბი 260 მაყურებლისათვის აოის გათვალისწინებული.

□

წერილი გულაკეშტიდან

დიდი მაღლობა

სამხედრო სამსახურს მოძმე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ვიხდი. ამაზე წინათ ჩვენ გვესტუმრა უნგრეთში გასტროლებზე მყოფი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „დოლური". მათმა კონცერტმა მაყურებელთა ინტერესი და მოწონება დაიმსახურა; მინდა ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა ანსამბლის წევრებს და წარმატებები ვუსურვო შემოქმედებაში.

ჯარისკაცი ბ. კუსიანი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს 1978-79 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით დასწრებული სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი) — ზოოინჟინერის სპეციალობით.

2. საველტერინარო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორი — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებმაც დამთავრეს სპეციალური საშუალო სასწავლებელი, საველდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი, აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით და შეტანილი არიან უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელ კანდიდატთა სიაში, აგრეთვე იმათ, ვინც საშუალო სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა ფრიადი და კარგი ნიშნებით და პედაგოგიური კოლექტივების მიერ რეკომენდებული არიან უმაღლეს სასწავლებელში შესასწავლად და განათლება მიიღო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აკურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება, მიიღებიან არსებული კახოსმდებლობის შესაბამისად.

იმ პირთათვის, რომლებმაც საშუალო სასწავლელი წინა წლებში დაამთავრეს, საველდებულოა სკოლის დამთავრებიდან ყოველ განვლილ წელზე 6 თვის პოაქტიკული მუშაობის სტაჟი, როცა არ სწავლობდნენ.

ინსტიტუტში შემომსვლელნი მისალებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელნი, რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელნი.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების აკურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი" ან „სამი" შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პიველ რიგში ჩაირიცხებიან ძუძმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომელთაც აქვთ პოაქტიკული მუშაობის ორახალ 2 წლის სტაჟი იმაღლესში ამორჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანხმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილი უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე, არსებული სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ. 2.) დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასწავლად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიკომი, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელები. ზოგადსაგანმათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის ხელმძღვანელის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას. 3.) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მოლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებელში მიღლინების შესახებ. 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უმეღოდ), ზომა 3X4 სმ.

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მწერალ მოწმობას.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 12 საათიდან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — კრწანისი, ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ავტობუსი № 23.

ზღვა, მზე, სილამაზე...

ახალი ათონი აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი პოპულარული კურორტია. აქ დამსვენებლებს იზიდავს მზიანი ღღეები, მოალერსე ზღვა, უნიკალური გამოქვაბულების სილამაზე.

კურორტზე ხაზაფხულს სეზონისათვის დამთავრდა ტურისტული ბაზის ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც შეიქმნა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ხახელსნნოში არქიტექტორ ნოდარ ქორიძის პროექტით.

ახალ კომფორტულ შენობაში მოთავსებულია 1000-ადგილიანი ორიარუსიანი სასადილო, 500 კაცისათვის გათვალისწინებული მაყურებელთა დარბაზი, ბიბლიოთეკა, სასამსახურო და საყოფაცხოვრებო სათავსები.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ი. ბოხონელიძემ ფოტოხურათზე აღბეჭდა ახალი ტურბაზა და მისი დამსვენებლები.



სიყალბეთა კვალდაკვალ

კომბინატორები კომბინატიდან

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენზე?

კარგის მეტი აბა რა გვეთქმის კომბინატის კოლექტივზე, მის შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანებზე. მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ წლების მანძილზე სხვადასხვა დროს საწარმოს სათავეში ედგნენ ადამიანები, რომლებიც შეგნებულად სჩადიოდნენ დანაშაულს, სიყალბით, უპირველეს ყოვლისა წამატებებით ატყუებდნენ ქვეყანას და ნაცად მაქინაციებს ესტაფეტასავით გადასცემდნენ ერთმანეთს. 11 კაცისგან შემდგარი ჯგუფი — „თერთმეტკაცად" წოდებული, თავის ლოტბარებთან — დირექტორებთან ერთად განაგრძობდა მრავალმხრივ „მოღვაწეობას".

ზედმეტი არ იქნება, თუ გავიცნობთ მათ: მ ნებულიშვილი (კომბინატის დირექტორი), ი. მილორავა (დირექტორი მ. ნებულიშვილის შემდეგ), თ. ჩიქოვანი (ბუკარდული სასწავლო საამქროს უფროსი), ბ. ღომაია (ამავე საამქროს უფროსი თ. ჩიქოვანის შემდეგ), ხ. ჯიბლაძე (სართავი წარმოების უფროსი), ვ. გორდეზიანი (კომბინატის მთავარი ინჟინერი), ვ. ნადარაია (ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი), ბ. სახურია (საქსოვი წარმოების უფროსი), რ. გვარამია (ცენტრალური სახელოსნოს უფროსი და კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე), თ. ქანთარია (ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი), ვ. ჯორჯიკია (კომბინატის ლაბორატორიის გამგე).

მივყვეთ „თერთმეტკაცას" დანაშაულობათა კვალს: მ. ნებულიშვილი კომბინატის დირექტორად მუშაობის პერიოდში სიყალბის გზას აღგა, ზემდგომ ორგანოებს გეგმის შესრულების დამახინჯებულ მონაცემებს წარუდგენდა. წამატებებმა მილიონ 795 ათასი მანეთის პროდუქცია შეადგინა. მანვე ბუკარდული საქსოვი საამქროს მიერ გამოშვებული 28.114 კვადრატული მეტრი ქიმიური ბოქაოს ხალიჩები ძვირად ღირებულ შალნარევ ხალიჩებად შეცვალა და ამ გზით კომბინატმა უკანონოდ 293.769 მანეთის მოგება მიიღო. სართავ წარმოებაში გამოშვებულად გააფორმეს 340.000 მანეთი ღირებულების 40 ტონა შალნარევი ნართი, რაც შემდეგ ფიქციურად დააწერეს საქსოვ და ბუკარდულ საამქროებს. დირექტორის განკარგულებითვე ნართის ნაზავში 40 პროცენტი მატყლის ნაცვლად გაუშვეს 30 პროცენტი.

დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთს მისდევდა. მალე კომბინატის ხელმძღვანელობა შეიცვალა. მას შემდეგ, რაც საწარმოს მ. ნებულიშვილის ნაცვლად სათავეში ი. მილორავა ჩაუდგა და ბუკარდულ საამქროში გადაბარება მოხდა, აღმოჩნდა 40 ტონა შალნარევი ნართის დანაკლისი. ამას ისიც დაემატა, რომ 4.563 კვადრატული მეტრი შალნარევი ხალიჩები მარკირებულ იქნა უფრო იაფად ღირებულ ქიმიური ნართის ხალიჩებად. კომბინატმა აქაც იზარალა 45.630 მანეთი. გამოიყო კომისია, რათა დადგინათ უბარისობის მოტივით დაბრუნებული ხალიჩების სელის ნართის სახეობა. ერთი ცალი ხალიჩის შემოწმების შედეგი მთელ პროდუქციაზე გაავრცელეს და ამით ახალი დანაშაული ჩაიდინეს, ჩამოწერეს 21.380 კილოგრამი სელის ნართი.

რა თქმა უნდა, კომბინატის დირექტორების მ. ნებულიშვილისა და ი. მილორავას ამ დანაშაულებრივ ქმედობაში სხვებიც არ იყვნენ ხელდაკრეფილნი, ისინი მხარში ედგნენ ერთმანეთს, ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, ერთად იღვწოდნენ, როგორც იტყვიან, ხელი ხელს ბანდა, ორივე კი პირს, „თერთმეტკაცას" ყველა წევრი ერთ ფერხულში იყო ჩაბმული.

ცხადია, ამას არ შეეძლო თავის დაღი არ დაესვა წარმოების ეკონომიკაზე, კომბინატის მუშაობის ეფექტიანობაზე, და აი, კოკა წყალზე გატყდა. ისინი სამსჯავროს წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა მოხდა ისე, რომ 11-დან 9 დამნაშავეს შეეხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულება ამნისტიის შესახებ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა. ეს პირები არიან: მ. ნებულიშვილი, ი. მილორავა, ზ. ჯიბლაძე, ვ. გორდეზიანი, ვ. ნადარაია, ბ. სახურია, თ. ქანთარია, რ. გვარამია და ვ. ჯორჯიკია. მართალია, ისინი იხსნა ჩვენი სახელმწიფოს დიდი ზეიმით გამოწვეულმა ამნისტიამ, მაგრამ აქვე დავძენთ, რომ მიღებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ზომები, რომ დამნაშავე პირებს, მათ შორის იმათ, ვისაც ამნისტია შეეხო, გადახდეთ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი.

ალბათ იკითხავთ, რა ბედი ეწია დანარჩენ ორს — თემურ ვლადიმერის ძე ჩიქოვანსა და ბიჭუნა აკაკის ძე ღომაიას? საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით გამსჯელ სხდომაზე, რომელიც ცხაკაიაში გაიმართა, ასეთი განაჩენი გამოიტანა: თ. ჩიქოვანს დანაშაულობათა კვალიფიკაციის ერთობლიობით მიესაჯა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა და ამავე ვადით გაიგზავნა საჯალდებულო შრომისათვის. ამ სასჯელის მოხდის შემდეგ მასვე აეკრძალა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა 2 წლის ვადით. რაც შეეხება ბ. ღომაიას მას მიესაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე მსგავსი სასჯელები, რომლებიც მიყენებული აქვს თ. ჩიქოვანს.

ამრიგად, ხალიჩებს ამოფარებულ „თერთმეტკაცას" გასტროლები ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში დამთავრდა. მაცდურობას, სიყალბეს, წამატებებს ბოლო მოეღო.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბასული წლის 7 ივნისის დადგენილება — „ბოლო მოეღოს წამატებებსა და თვალის აბვევას სახალხო მეურნეობაში", სადაც კერძოდ ნათქვამია: „...ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი სარგებლობს რა ცალკეული პარტიული, საბჭოთა, საგებმო, სტატისტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციების წაყრუებით, ჯერ კიდევ ურიგდება წამატებებისა და თვალის აბვევის ფაქტებს, რითაც მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათს ქმნის... წამატებანი და თვალის აბვევა ისეთი ბოროტმოქმედებაა, რომელიც პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებელია".

დიახ, წამატებებისა და თვალის აბვევის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა ყოველი პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანიზაციის, ყოველი ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა.

ვ. გაბელია.

ჭადრაკი

დაწინაურდა თ. ხუგაშვილი

ქუთაისი. (ტელეფონი „კომუნისტის სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გათამაშდა მერვე ტურის პარტიები.

ამ ტურში ც. ქასოშვილმა დაამარცხა ნ. იმნაძე, თ. ხუგაშვილმა — ნ. შეყილაძე, ქ. მელაშვილმა — ი. აბზიანიძე, ხ. გურგენიძემ — ლ. თანდაშილი. ყაიმით დამთავრდა ნ. გოგიასა და ლ. ფაჩუაშვილის შეხვედრა. მ. ჭირაქაძე — ც. კახაბრიშვილს, თ. მესხი — მ. წერეთლის, ც. კობაიძის და ნ. მელაშვილის პარტიები გადაიდო. ლ. ბელოზიოროვას შეხვედრა ნ. მუსერიძესთან პირველის ავადმყოფობის გამო არ შედგა.

რვა ტურის შემდეგ გათამაშებას 6,5 ქულით ლიდერობს თ. ხუგაშვილი, ც. კახაბრიშვილს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, მ. წერეთელს და ც. კობაიძეს 5,5-5,5 ქულა აქვთ და თითო-თითო გადადებული პარტია.

ლ. ფაჩუაშვილი.

ლიდერია ნანა იოსელიანი

პოლონეთის ქალაქ პიოტრკუე-ტრიბუნალსკში გრძელდება ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ჩინებულად თამაშობს ნორჩი ქართველი ოსტატი ნანა იოსელიანი. იგი 5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით პირველ ადგილზეა. მეორე-მესამე ადგილებზე არიან ზ. მაკაი (უნგრეთი) და გ. შმაცინსკა (პოლონეთი) — 4-4 ქულა.

ექვსი ფრე

ფეხბურთი

პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკაშირო ჩემპიონატის მონაწილე ქუთაისის „ტორპედომ" რომ მეოთხრეტე ტურში როსტოვის არმიელთა გუნდთან შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრა, უკვე ვიტყობინებოდით. ახლა გთავაზობთ ამ ტურის დანარჩენი მატჩების შედეგებსაც.

„შინიკი" (იაროსლავლი)-„ერილია სოვეტოვი" (ეუბიბშევი) — 0:1, „დინამო" (ლენინგრადი)-„უბანი" (კრასნოდარი) — 1:1, „დინამო" (მინსკი)-„კუზბასი" (კემეროვო) — 1:1, „ფალგირინა" (ვილნიუსი)-„ურალ მაში" (სვერდლოვსკი) — 0:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი)-„თერგი" (გროზნო) — 1:1, ასკ (ოდესა)-„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — 1:0, „კარპატი" (ლვოვი)-„პამირი" (დუშანბე) — 0:0, „სპარტაკი" (ივანოვო-ფრუნზენოვსკი)-„კოლხეთი" (ანზობადი) — 5:3, „ტავრია" (სიმფეროპოლი)-„მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — 1:0. როგორც ხედავთ, აღნიშნულ ტურში ექვსი მატჩი ფრედ დამთავრდა.

გათამაშების ცხრილში პირველ-მეორე ადგილებზე არიან „უბანი" და „ერილია სოვეტოვი" — 16-16 ქულა, მესამეზეა — „ნისტრუ" — 15, მეოთხე-მეექვსეზე არიან მინსკის „დინამო", „ტორპედო" და „ტავრია" — 14-14 ქულა.

„მერცხალი", „მეშახტე", „მზიური"...

გაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის შეხვედრები. შედეგები ასეთია:

„სეკერი" (ზალეზნიხა)-„კოლბეთი" (ხობი) — 5:0, „სპარტაკი" (ცხინვალი)-„ნადიკვარი" (თელავი) — 0:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი)-„ჩიხურა" (საჩხერე) — 1:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი)-„მეტალურგი" (რუსთავი) — 2:1, „დურუჯი" (ყვარელი)-„მეშახტე" (ტყიბული) — 0:1, „მერცხალი" (მახარაძე)-„მაღაროელი" (ჭიათურა) — 4:0, „სალხინო" (გეგეჭკორი)-„მზიური" (ზალი) — 2:1, ასკ (თბილისი)-„სპარტაკი" (თბილისი) — 2:0, „ამირანი" (ონამჩირე)-„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — 2:2, „ივერია" (ბაშური)-„იბერია" (ქარელი) — 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„ეგრისი" (ცხაკაია) — 2:1.

გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა მახარაძის „მერცხალი" (17 თამაშიდან 26 ქულა), მეორეზე — ტყიბულის „მეშახტე" (15-დან 25), მესამეზე — ზალის „მზიური" (16-დან 23).

მძლეოსნობა

საქართველოს რეკორდით

კიშინიოვში დამთავრდა ამერკავკასიის, მოლდავეთისა და რუმინეთის ქალაქ იასის მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვეს მოლდაველებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სპორტსმენები. აქ ლილა წინწალაშვილმა 1500 მეტრზე რბენაში კარგად ისპარტა და დაამყარა საქართველოს რეკორდი — 4.32,8. სამხტომში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა — 16 მ. 24 სმ.

მოკლედ

ფიგურული ციგურაობა

□ მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: მოციგურავე ვაჟები თბილისის დინამოელი გ. მანყულაშვილი და და განთიადელი ბ. ყურაშვილი შეყვანილი არიან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში.

□ 1979 წლის ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში გაიმართება ზაგრებში (29 იანვრიდან 4 თებერვლამდე). მოსალოდნელია, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ 20 ქვეყნის სპორტსმენები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

31 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 09.50 — დოკუმენტური ფილმი, 16.50 — ანიტურიეტბათათვის მათემატიკა, 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.50 — ბავშვებისათვის — „საცინკო სანახაობა", 18.55 — „ჩვენი სამკითხველო დარბაზი", 19.55 — „საშინაო მიმოხილვა", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „უკრავს ო. იელაპტრიშვილი" ფერადი (განმეორებით), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გაცვლეობა, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველდღე გ